



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010108228793918

15 / ოქტომბერი / 2018 წ.
1117/ს

**კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის
სარგებლობაში გაცემის მიზნით N348 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების
შესახებ**

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს „მაგთიკომი“-ს 2018 წლის 02 მაისის N18/05/02-4 და 18 მაისის N18/05/18-6 წერილებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 17 სექტემბრის N18640/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

ლოტი N1- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის მცხეთის სატყეო უბნის, ძეგვის სატყეოს კვარტალ N5-ის ლიტერ N1-ში მდებარე 50 მ² (საკადასტრო კოდი: N72.11.07.579) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ხაბეიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგდამსულია
ელექტრონულად

გრიგოლი ბლიაძე